ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №160

ქ.თბილისი 5 აპრილი 2019წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ფიზიკურ პირ „ლიკა ხუციშვილს“ (მცხოვრები: ქ. რუსთავი, რუსთაველის ქ.№24 შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 7 (შვიდი) ერთეული ავტომანქანა „შკოდა-ოქტავიას“ (სახ.№DD-442-DC, სახ.№DD-443-DC, სახ.№DD-445-DC, სახ.№DD-446-DC, სახ.№DD-450-DC, სახ.№DD-449-DC და სახ.№DD-453-DC, გამოშვების წელი 2019) მინების დამუქებას (კლასიფიკატორის კოდი 50100000) „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 735 (შვიდას ოცდათხუთმეტი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) მათ შორის საპენსიო შენატანი (2%) 14.70 (თოთხმეტი ლარი და 70 თეთრი) ლარი და საშემოსავლო გადასახადი (20%) 144.06 (ას ორმოცდაოთხი ლარი და 06 თეთრი) ლარი;

2.2 ერთი ერთეული ავტომანქანის მინების დამუქების ღირებულება შეადგენს 105 (ას ხუთი) ლარს;

2.3 საპენსიო შენატანის სახაზინო სამსახურში საპენსიო სააგენტოს ანგარიშზე ჩარიცხვას და საშემოსავლო გადასახადის გადახდას უზრუნველყოფს „შემსყიდველი“.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ 2019 წლის 11 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ გაწეული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენელი:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი – ზაზა ნიკოლეიშვილი;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი – ვახტანგ ფხაკაძე.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული. რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 5 აპრილიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 მაისის ჩათვლით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“

საქართველოს სახელმწიფო
დაცვის სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2
ჭოროხის ქ.№6.

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი“:

ფ/პ „ლიკა ხუციშვილი“

ქ.რუსთავი, რუსთაველის ქ.№24

ტელ: 557 972 994

სს „თიბისი ბანკი“

ა/ა №GE42TB7134745061100085
კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 35001126657

„მიმწოდებლის“ სახელით:

ფიზიკური პირი

ლიკა ხუციშვილი

lika xutsishvili

Digitally signed by lika xutsishvili
Date: 2019.04.05 18:41:36 +04'00'

Digitally signed by special state protection service of georgia

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ფიზიკურ პირ „ლიკა ხუციშვილთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის
სამმართველოს უფროსი — ზაზა ნიკოლეიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის
სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან
საქმეთა ინსპექტორი — ვახტანგ ფხაკაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი